



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 17

ჩაქვი

19 აპრილი 2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ზ“ და „ო“ ქვეპუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 მარტის №35 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას 2017 წლის 18 აპრილის №1111 წარდგინების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო განისაზღვროს ათი წევრის შემადგენლობით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) ნინო ჩხეტია - უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე);
- ბ) მერაბ კარანაძე - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) ირაკლი ჭეიშვილი - უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;
- დ) დავით ბაციკაძე - უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“-ს თავმჯდომარე;
- ე) ცოტნე ანანიძე - უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ვ) ილია ვერძაძე - უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე;
- ზ) ასმათ დიასამიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
- თ) გია აბულაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
- ი) გიორგი ცინცილაძე - უმაღლესი საბჭოს წევრი;
- კ) პეტრე ზამზახიძე - უმაღლესი საბჭოს წევრი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 09 მარტის N 12 ბრძანება.

4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



დავით გაბაიძე